


საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვიწროლიანდიანი რკინიგზა



ვიწროლიანდიანი რკინიგზა, რკინიგზა, რომლის ლიანდის სიგანე (600-იდან 1200 მმ-მდე) ნაკლებია ჩვეულებრივზე (1500 მმ). არსებობს საერთო სარგებლობის და სამრეწვ. დანიშნულების მიწისზედა და მიწისქვეშა ვ. რ-ები, რ-თა სტანდ. სიგანეა: მიწისზედასი – 750 მმ, მიწისქვეშასი კი – 600-700 მმ (შახტებში) და 750 მმ (მაღაროებში). სამრეწვ. ობიექტებს ემსახურება და მუშაობის ხასიათის მიხედვით

არის: მუდმივი (ძირითადი), დროებითი (რამდენიმე წელიწადს მოქმედი) და მუშა ვ. რ. უკანასკნელი უშუალოდაა დაკავშირებული საწარმოს ტექნოლ. პროცესებთან და ექსპლუატაციის პროცესში ხდება მათი სივრცის ცვლილება, მაგ., კარიერების სანგრევის ლიანდი, ნაყარის ლიანდი, ხეტყის გადასატანი, ჩარჩოსებრი გადასატანი ლიანდი ტორფის საბადოებზე, ამნის გადასაადგილებელი ლიანდი მშენებლობებზე და სხვ. ვ. რ-ის მშენებლობა ხელსაყრელი, სწრაფი, იაფი და მომგებიანია ფართოლიანდიან რკინიგზასთან შედარებით, მიწის სამუშაოების მოცულობა მცირეა, მსუბუქია მისი საინჟ. ნაგებობები და რელსები. იგი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ მცირე რადიუსის მოსახვევები და ციცაბო აღმართები, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია რთულ რელიეფზე რკინიგზის გაყვანისას. ვ. რ-ით ფართოდ სარგებლობენ იაპონიაში (სიგანე 1067 მმ), ამასთან, ამ ხაზებზე მატარებლების მოძრაობის საშ. სიჩქარეა 200 კმ/სთ. საფრანგეთში გავრცელებული იყო ე. წ. დ ე კ ა ვ ი ლ უ რ ი (500 მმ) ვ. რ., ინდოეთში გავრცელებულია 634 მმ, 736 მმ და 1000 მმ სიგანის ვ. რ. ამ სახის რკინიგზით სარგებლობენ ესპანეთში, ბრაზილიაში, შვეიცარიაში, შვედეთში, ჩეხეთში, ავსტრიაში, ფინეთში, კორეაში და რიგ სხვა ქვეყნებში, XX ს. 50-იან წლებამდე იყენებდნენ საბჭოთა კავშირშიც, სადაც 1947 მონაცემებით, მისი საერთო სიგრძე აღწევდა 14 ათას კმ. შემდგომ წლებში ვ. რ-ის ნაწილი გაუქმდა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვ. რ. ასევე გამოიყენება

როგორც საბავშვო რკინიგზა. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ვ. რ-ს იყენებდნენ გარკვეული რაიონის (მაგ., შორაპან-ჭიათურის უბანი; ექსპლუატაციაში იყო 1895-1956), ასევე ტურისტული და საკურორტო ზონის მომსახურებისათვის. მისი საუკეთესო ნიმუშია ბორჯომ-ბაკურიანის ვ. რ., რ-ის მშენებლობა 1897 დაიწყო. რთული კლიმ. პირობების გამო იგი გაგრძელდა ოთხ წელიწადს, მიმოსვლა გაიხსნა 1901. ლიანდის სიგანეა 912 მმ. ამ რკინიგზისათვის ინგლისში სპეციალურად დაუკვეთეს „პორტერის“ ტიპის ორთქლმავალი. მატარებელს ებმოდა ღია ტიპის ვაგონები, რ-ებიც მხოლოდ მოაჭირებით იყო შემორაგული. 1967 პატარა ორთქლმავალი ელექტრომავალმა ჩაანაცვლა; განახლდა ვაგონები, ხოლო 2011 ჩაუტარდა სრულყოფილი რეკონსტრუქცია. 37 კმ სიგრძის ხაზი მთლიანად ელექტრიფიცირებულია (1,5 კვ ძაბვის მუდმივი დენით). 1905-იდან თბილისში მოქმედებს ვ. რ. (სიგანე 980 მმ) მთაწმინდის ფუნიკულიორზე. 1935 მუშაოდის ბაღში გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.
